პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 2 (1172) | კვირა, 5 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

# ახალი წარმატებებისათვის!

დიდი კმაყოფილებით გააცილეს საბჭოთა ადამიანებმა 1957 წელი, რომელმაც მრავალი, მრავალი შესანიშნავი გამარჯვება მოუტანა ჩვენს უძლეველ ქვეყანას კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. დაიწყო ახალი, 1958 წელი, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნის ადამიანებისათვის.

„ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! საბჭოთა ქვეყანა ახალ წელიწადში ძალღონით ალსავსე შედის. საბჭოთა ადამიანები ალსავსენი არიან იმის იმედით, რომ 1958 წელი ახალ წარმატებებს მოუტანს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმეს. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს მტკიცე რწმენით შევყურებდეთ მომავალს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს გააკეთებენ, რათა ახალი წელი მშვიდობიანი შრომის წელი იქნეს ყველა ხალხისათვის, რათა ჩვენმა ხალხმა ამ წელს ახალი და ახალი წარმატებანი მოიპოვოს თავისი სანუკვარი მიზნის — კომუნიზმის აშენების განხორციელებაში". —ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი.

ახალ წელს კიდევ უფრო მძლავრად გაიფურჩქნება ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში. ახალი ძალით გაჩაღდება მჩქეფარე საქმიანობა მსოფლიოს სპორტული მწვერვალების დაპყრობისათვის ამიტომ ჩვენს წინაშე დასახული საპასუხისმგებლო ამოცანების სასახელოდ გადაჭრისათვის ბრძოლა 1958 წლის პირველ დღეებიდანვე უნდა დავიწყოთ. გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა ქალაქმა და რაიონმა ისახელა თავი — სამშობლოს მოუმზადა მრავალი ნიშნოსანი, თანრიგოსანი, წარმატებით გამოვიდა რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე, ხოლო ვინც სათანადოდ ვერ გაანაწილა თავიანთი ძალები — სამარცხვინოდ ჩამორჩა.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა რიცხვი. ბევრი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. ამიტომ ყოველი ღონისძიება, იქნება ეს ძირეული კოლექტივისა თუ რესპუბლიკური პირველობა, სპორტულად მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს. როცა ვლაპარაკობთ შეჯიბრების ორგანიზაციის კულტურაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მასზე დიდადაა დამოკიდებული ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარობა, მისი შემდგომი აღმავლობის საქმე. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს მრავალ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუწევთ მონაწილეობის მიღება, ამიტომ ფიზკულტურული ორგანიზაციების, მწვრთნელების, სპორტსმენების ვალია მეტი გულისყურით მოეკიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სპორტული წარმატებები რომ მეტი გვქონდეს, აუცილებელია მივაღწიოთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობას, საფუძვლიანად უნდა გარდავქმნათ მუშაობა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, ველოსპორტი, ფრენბურთი, კრივი და სხვ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობას სოფლის ფიზკულტურელებთან.

ახლებურად უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა ბავშვებთან — ჩვენი სპორტის მომავალთან. ჩვენთან ბევრია ბავშვთა სპორტული სკოლები, რომლებიც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ აქ რატომღაც ნელი ტემპით მიმდინარეობს მაღალტექნიკური სპორტსმენების მომზადება. საჭიროა საფუძვლიანად გადისინჯოს სპორტული სკოლების სამუშაო გეგმები, შევიტანოთ მათში მეტი სიახლენი.

როგორც წინათ, მიმდინარე წელსაც დიდი მუშაობა მოგვიწევს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადებისათვის. საჭიროა ეს საქმიანობა გავშალოთ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე და მაშინ უფრო უკეთესად შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტსმენები, რომლებიც გარემოსილი არიან დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით, მზად არიან საერთაშორისო და საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში მოპოვებული გამარჯვებებით ასახელონ მშობლიური საბჭოთა სპორტი.

ახალი წლიდან ახალი ენერგიით შევუდგეთ საქმეს, ვამრავლოთ სპორტული წარმატებები ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად.

## გაიმარჯვა იუბილარმა

როგორც ცნობილია, შვეციის საჭადრაკო ფედერაციამ გეტებორგში გამართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა გროსმაისტერ გედეონ შტალბერგის დაბადების 50 წლისთავს.

ამას წინათ დამთავრდა. ეს საინტერესო ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, I ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა გ. შტალბერგმა, რომელმაც 6 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ საბჭოთა გროსმაისტერები ს. ფლორი და ვ. რაგოზინი.

ტურნირის დასკვნით საღამოზე გ. შტალბერგმა მილოცვის მრავალი დეპეშა მიიღო. მათ შორის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციისაგან, საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციისაგან და ცნობილი გროსმაისტერებისაგან.



ამას წინათ ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სარბიელზე გაიმართა მოსკოვის კლუბების ნაკრებისა და ინგლისის „ჰარინგეი რეისერზის" ჰოკეისტთა საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 8:3.

სურათზე: ინგლისისა და საბჭოთა ჰოკეისტების თამაშის მომენტი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა და ა. კონკოვისა.

## რეკორდი უცვლელი დარჩა

გასულ კვირას ობერსტდორფის (გფრ) ტრამპლინ „შატენბერგშანცზე" 10 ათასამდე მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა შეჯიბრება თხილამურებით ხტომაში საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, შვეციის, პოლონეთის, გდრ-ს, გფრ-სა და სხვა ქვეყნების 51 საუკეთესო სპორტსმენს შორის. შეჯიბრების ძირითად ამოცანას შეადგენდა ამ ტრამპლინის რეკორდის (82 მეტრი) გაუმჯობესება.

პირველივე ცდიდან დაძაბული ბრძოლა გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ნ. კამენსკისა და გერმანელ სპორტსმენ ვ. რეკნაგელს შორის. პირველ ცდაზე ორივე მონაწილემ ერთნაირი შედეგი აჩვენა — 74,5 მ, მაგრამ კამენსკიმ უკეთესი სტილისათვის ერთი ქულით მეტი შეფასება მიიღო. ზედმიწევნით ლამაზი იყო კამენსკის მეორე ნახტომი. მისმა ნახტომმა ამჯერად 77-მეტრიან ზღვარს მიაღწია. რეკნაგელი მას ნახევარი მეტრით ჩამორჩა.

კამენსკიმ მოაგროვა 227,5 ქულა და მოიპოვა პირველი ადგილი. 222 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა რეკნაგელი.

ამ შეჯიბრებაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს ავსტრიელმა სპორტსმენებმა შტეინეგერმა და ჰაბერზატერმა, რომლებმაც ვაიყვეს III-IV ადგილები.

საბჭოთა სპორტსმენები ნ. შამოვი და რ. ბიკოვი გამოვიდნენ VII და VIII ადგილებზე.

არ გაუმართლდათ კორტინა დამპეცოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელს ჰ. გლასს (გდრ) და კ. წაქაძეს (სსრ კავშირი). საბჭოთა სპორტსმენმა პირველ ცდაზე აჩვენა 72,5 მეტრი, მაგრამ დაეცა და ნახტომი არ ჩაეთვალა. ჩვეულმა სენმა თავი იჩინა მეორე ნახტომის შესრულების დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი ნახტომის სტილით ყველა მონაწილეზე უკეთესი იყო, წაქაძე კვლავ დაეცა 76-მეტრიან ზღვარზე. ორივე ნახტომის შესრულების დროს წაიქცა აგრეთვე ჰ. გლასიც.

• • •

გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა) გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა სპორტსმენებმაც.

გამარჯვება მოიპოვა ავსტრიელმა ეგერმა, რომელმაც ორი ნახტომი შეასრულა შესაბამისად 88 და 86 მეტრზე. სტილის მიხედვით მისი ნახტომი შეფასებულ იქნა 226,6 ქულით. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ნ. შამოვი — 223,2 ქულა (ხტომების სიგრძე 84 და 84,5 მეტრი). სხვა საბჭოთა სპორტსმენებიდან ბ. ნიკოლაევმა დაიკავა მეხუთე ადგილი, ნ. კამენსკიმ მეშვიდე, ხოლო რ. ბიკოვმა — მერვე.

## ახალწლის წინა ღამეს

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში ყოველი ახალი წლის წინა ღამეს ეწყობა ტრადიციული რბენა ქალაქის ქუჩებში, რომლის ორგანიზატორია ადგილობრივი სპორტული გაზეთი.

როგორც ბაოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ასეთი შეჯიბრება მოეწყო 1957 წლის 31 დეკემბერსაც. ფინიშთან პირველი იყო პორტუგალიელი სტაიერი მანუელ ფარია, რომელმაც 7.400 მეტრი გაირბინა 21 წუთსა და 37,4 წამში. ფარია უკვე მეორე წელია ზედიზედ იკავებს პირველ ადგილს სან-პაულოს საახალწლო რბენაში. მეორე ადგილი დაიკავა არგენტინელმა სუარესმა, ხოლო მესამე — ბელგიელმა ლენერტმა.

მარცხით დამთავრდა საყოველთაო ფავორიტის, ოლიმპიური ჩემპიონის ვ. კუცის (სსრ კავშირი) მონაწილეობა შეჯიბრებაში. მან დისტანციის უკანასკნელ მილზე ფეხი იღრძო და ფინიშთან მხოლოდ მერვე იყო.

## მოძრავი სახურავის ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ორიოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუჟნიკში ხარაჩოები ჩამოხსნეს ჩვენს ქვეყანაში უდიდეს საცურაო აუზს. განვლილ პერიოდში ამ შესანიშნავმა ბაზამ მნიშვნელოვან გამოცდას გაუძლო — წარმატებით მიიღო ხალხთა სპარტაკიადის, III ახალგაზრდული მეგობრული სპორტული თამაშებისა და საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი.

ბაზას თითქოს არაფერი აკლდა, მაგრამ ამ დღეებში საცურაო აუზი კვლავ ხარაჩოებით დაიფარა, გაჩაღდა ახალი სამშენებლო სამუშაოები. საქმე იმაშია, რომ ღია აუზი ვარჯიშისათვის გამოუსადეგარი იყო ზამთრის პერიოდში. სტადიონის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ბაზა გადაეკეთებინათ ისე, რომ მას არ დაეკარგა ძველი სახე და გამოსადეგი ყოფილიყო ვარჯიშისათვის ზამთრის პერიოდშიც. მშენებლებმა აუზის ირგვლივ აღმართეს ლითონის 11 ფერმა, რომლებიც რელსებზე მოძრაობენ და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება აუზის პირვანდელი სახის აღდგენა. შეიქმნა 6 მეტრის სიმაღლის თაღიანი სახურავი, რომელიც გადახურულია ბრეზენტითა და სითბოგაუმტარი მასალით. დასასრულს უახლოვდება ელექტროგანათების, გათბობისა და ვენტილატორის მოწყობა, რის შემდეგ მოსკოველი სპორტსმენები მიიღებენ კიდევ ერთ დახურულ აუზს.

## წინაა პ. კერესი

ჰასტინგსის ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის გახსნას, რომელიც 30 დეკემბერს მოეწყო, ჭადრაკის მრავალი მოყვარული დაესწრო.

გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ჩატარდა კენჭისყრა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: გროსმაისტერი კერესი, გროსმაისტერი ფილიპი, ოსტატები კლიუგერი (უნგრეთი), პენროუზი, ფაზეკაში, კლარკი (ყველა ინგლისიდან), ბლაუ (შვეიცარია), სტეინერი (შვეცია), გროსმაისტერი გლიგორიჩი, ოსტატი ბარდენი.

I ტურში კერესი შეხვდა ბარდენს. ინგლისურ დაცვაში საბჭოთა გროსმაისტერმა ხელთ იგდო ინიციატივა. შეტევის განვითარებით მან განახორციელა პატარა კომბინაცია მხედრის დროებითი შეწირვით და პაიკი მოიგო. მალე მას მეორე პაიკის მოგებაც მოჰყვა. 36-ე სვლაზე ბარდენმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ყაიმით დამთავრდა ფილიპ-გლიგორიჩის და ფაზეკაშ-კლარკის პარტიები. მხოლოდ 20 სვლა გაგრძელდა პენროუზ-ბლაუს შეხვედრა. ინგლისელმა ოსტატმა მეფეზე მძაფრი იერიშით მოიპოვა გამარჯვება.

II ტურში კერეს-ფილიპის პარტია მშვიდად მიმდინარეობდა. პოზიციის გამარტივების შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა გლიგორიჩ-კლიუგერის, ბარდენ-კლარკისა და სტეინერ-პენროუზის შეხვედრები. ბლაუმ დაამარცხა ფაზეკაში.

## უკრაინელი ფანმოვარჯიშეები იმარჯვებენ

სოფიაში შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ტანვარჯიშში ბულგარეთისა და უკრაინის გუნდების მონაწილეობით.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს უკრაინელებმა.

ინდივიდუალურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბ. შახლინმა, ქალებში — პ. ასტახოვამ.

# ი. კოტორაშვილის „საქმიანობა“

სამსახურებრივ მოვალეობათა არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის არსებობს ადმინისტრაციული სასჯელის სხვადასხვა ზომა: გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან განთავისუფლება და ა. შ. თუ, რა თქმა უნდა, დანაშაული არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის სასჯელს. სწორედ ადმინისტრაციული სასჯელის უმაღლეს ზომას მიმართეს 1956 წლის 20 ივლისს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა რაიონის სოფლის ახალგაზრდებში მასობრივ-ფიზკულტურული და სასწავლო-სპორტული მუშაობის ჩაშლისა და ფინანსური დისციპლინის დარღვევისათვის თანამდებობიდან „გაანთავისუფლეს“ გარეუბნის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ი. კოტორაშვილი.

საქციელწამხდარი კოტორაშვილი ერთხანს ცენტრალურ საბჭოდან მოვლინებულ კაცს ელოდა, რომელიც რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ახალ კანდიდატურას შეარჩევდა, კონფერენციას ჩაატარებდა, სახალხოდ გააწითლებდა ძველ ხელმძღვანელს, მაგრამ... ეტყობა „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოში დაავიწყდათ უქნარა თავმჯდომარის განთავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. არავინ აწუხებდა კოტორაშვილს. მას კარგახანს თვითონაც არ სჯეროდა ბედის ამგვარი შემობრუნება და უნდობლად უყურებდა დახმარებისა და დირექტივებისათვის მოსულებს.

გაიარა სამსახურიდან განთავისუფლების საშიშროებამ, კოტორაშვილმა შვება იგრძნო, ნელ-ნელა მიუშვა სადავეები და კვლავ დაუბრუნდა უსაქმობასა და თაღლითობას. რაიონში არსებული 41 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ღვთის ანაბრად იქნა მიტოვებული. მან მხოლოდ ერთხელ შეკრიბა ამ კოლექტივების თავმჯდომარეები, რამდენიმე წუთს ესაუბრა, „მამაშვილურად“ დაარიგა — ვინძლო ნურც თქვენ მოგვკლათ თავი მუშაობით და ნურც მე შემაწუხებინოთო. ყველა თქვენგანისათვის თავისუფლება მომინიჭებია, როგორც გინდათ ისე იმუშავეთ, მხოლოდ ხანდახან, როცა ზემოდან მოითხოვენ, გამომიწოდეთ დახმარების ხელი, ათასში ერთხელ ღონისძიებაზე გამოიყვანეთ ფიზკულტურელებიო — და გზა დაულოცა. მას შემდეგ კოტორაშვილს აღარც მოჰგონებია მათი არსებობა, მაგრამ სულ სამუშაო ოთახში ჯდომაც არ ივარგებსო, იფიქრა, და განვლილი წლის ათ თვეში 133 დღე მივლინებებში გაატარა. თუ ბარათების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას სამ-ოთხ სოფელზე „აუღია შეფობა“. განსაკუთრებით წყალობდა მშობლიურ სოფელ გლდანს, სადაც მივლინებით 31 დღე დაჰყო (!?) ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის შესამოწმებლად და ადგილზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად. მაგრამ მოპოვებული „წარმატებებით“ მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს დაიტრაბახებენ გლდანელები.

რაკი წინა წლის „შეცდომებს“ დაუსჯელი გადაურჩა, კოტორაშვილმა ფულის შოვნის ძველ გზას — ფიქტიური უწყისების შედგენას მიმართა. ჯერ იყო და, ვითომ, ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელის გ. ღვინიაშვილის სახელზე გასცა 260 მანეთი, სინამდვილეში კი ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მუშაკს გ. ღვინიაშვილს არც მეცადინეობა ჩაუტარებია და არც თანხა აუღია. მერე იყო და გასული წლის 28-31 აგვისტოს „ქაღალდზე მოაწყო“ იმ სპორტსმენთა ოთხდღიანი შეკრება ქართულ ჭიდაობაში, რომლებიც სწორედ იმ დღეებში თელავში იბრძოდნენ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში და საპრიზო ადგილებიც კი მოიპოვეს. „შეკრების უფროსს“ ნ. მაისურაძეს დღესაც არ ახსოვს ნამდვილად ჰქონდა თუ არა ამგვარი ღონისძიება. აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ რაისაბჭოს თავმჯდომარეს აქ ზედმეტი გულუხვობა გამოუჩენია და არარსებული შეკრების მონაწილეებზე 13 მანეთის ნაცვლად დღიურად 25 მანეთი გაუცია თვითეულზე (საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ), რაც სულ 1.600 მანეთს შეადგენს.

ცენტრალური საბჭოს სარევიზიო კომისიამ რაისაბჭოს მუშაობაში შეამჩნია სხვა ფინანსური დარღვევებიც. აქ ხარჯთაღრიცხვის გარეშე, თვითნებურად შეუძენიათ ტრამვაი-ტროლეიბუსის 850 მანეთის აბონემენტი, ხოლო სპორტსმენთა მივლინებებზე გადახარჯული აქვთ 618 მანეთი.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გარეუბნის რაისაბჭოს უფლება ჰქონდა საზოგადოებრივი კადრებისა და ნიშნოსანთა მოსამზადებლად აეყვანა ერთი ინსტრუქტორი 75 სამუშაო საათის დატვირთვით, მაგრამ კოტორაშვილმა ისევ დაივიწყა პრეზიდიუმის გადაწყვეტილება. უწყისები წლის განმავლობაში დგებოდა ოთხ ინსტრუქტორზე, რომლებსაც „ჩატარებული“ 254 საათის საფასურად 2.326 მანეთი ეძლეოდათ ყოველთვიურად, მაშინ, როცა მათი მუშაობის ხარისხზე ნათლად მეტყველებს შემდეგი სურათი:

რაიონში მათ I საფეხურზე უნდა მომზადებულიყო 509 ნიშნოსანი, ფაქტიურად მომზადდა 366. მეორე საფეხურზე 60-ის ნაცვლად ნორმატივები ჩააბარა 50-მა. 9 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა მხოლოდ 4, 19 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 8 და 191 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენის ნაცვლად მომზადებულ იქნა 62 სპორტსმენი. არ მომზადებულა არც ერთი ფიზორგი, მსაჯი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, გეგმა კი ამ გრაფაში 67 კაცს ითვალისწინებდა. მაშ რას მოხმარდა გაცემული თანხა? რას აკეთებდნენ ინსტრუქტორები?

რაისაბჭოს თავმჯდომარის საქმისადმი და სახელმწიფო თანხებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მწვრთნელთა უმეტესობა გულგრილად ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას: ისინი არ ადგენდნენ სამუშაო გეგმებს, კონსპექტებს, არ აწარმოებდნენ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას. ასეთთა რიგებს მიეკუთვნებიან მწვრთნელები ძალოსნობაში ხატიაშვილი, დათიკაშვილი, გრიგორიანი, ყუბანეიშვილი, საერთო ფიზმომზადებაში მაისურაძე, მზარეულაშვილი და სხვები. საწინააღმდეგო ფაქტს ჰქონდა ადგილი აბუაშვილის საქმიანობაში, რომელიც გაფორმებულია მწვრთნელად ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც თუმცა ყველა დოკუმენტი წესრიგში ჰქონდა, მაგრამ ფაქტიურად არავითარ მუშაობას არ აწარმოებდა.

როგორც ჩანს, ამგვარი მუშაობისადმი ტონის მიმცემი აღმოჩნდა რაისაბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც დღემდე არ შეუდგენია სამუშაო გეგმა, წლის განმავლობაში არ მოუწვევია პრეზიდიუმის არც ერთი სხდომა, თავს არ იწუხებდა სპორტლონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებულ შეჯიბრებათა ჩატარებისათვის. არ გამართულა რაიონული ღონისძიებანი სპორტის უმრავლეს სახეობებში, იშვიათად მონაწილეობდნენ ცენტრალურ საბჭოს პირველობებზე და ა. შ.

სად იყო ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ს. კაციტაძე, რატომ არ აქცევდა იგი ყურადღებას შექმნილ მდგომარეობას. არ ეხმარებოდა რაისაბჭოს თავმჯდომარეს? იმიტომ, რომ არც კოტორაშვილი აწუხებდა კაციტაძეს, რომელიც „კოლმეურნის“ რაისაბჭოდან ყოველთვიურად იღებდა 676 მანეთს, როგორც საერთო ფიზმომზადების ინსტრუქტორი, საქმეს კი არ აკეთებდა.

კიდევ ერთი ფაქტი. გასული წლის 8-9 ივლისს ჩატარებულ რაიონულ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში დამკვრელებზე ხელზე იქნა გაცემული 999 მანეთი, მაშინ, როცა აღნიშნული თანხა გადარიცხულ უნდა ყოფილიყო მუსიკოსთა ბიუროს მისამართით. ნაღდი ფული გასცეს აგრეთვე (ტალონების ნაცვლად) შეჯიბრების მონაწილეებსა და მსაჯებზე. ცენტრალური საბჭოდან რაისაბჭოს მიმდინარე ანგარიშზე მწვრთნელთა ხელფასისათვის გადარიცხული იყო 47 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხიდან კოტორაშვილმა ათი ათასი მანეთი გამოიყენა არადანიშნულებისამებრ.

საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, რაისაბჭოს უსაქმურობის შემთხვევების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთი ცხადია, კოტორაშვილმა პასუხი უნდა აგოს თავისი „საქმიანობისათვის“.

**ვ. გოგრიჭიანი,**
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

**ო. გელაშვილი**

# მეტ მზრუნველობას საჭიროებს

სასტენდო სროლას ჩვენს რესპუბლიკაში არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაისახა და განვითარდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში აღიზარდნენ საკმაოდ ცნობილი სპორტსმენები ს. ხახიშვილი, ქ. გაბაშვილი, დ. არზიანი, ვ. ციციშვილი, ვ. სომოვი, გ. ოსიპოვი და სხვები, რომლებიც წარმატებით იცავდნენ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. ძველი თაობის წარმომადგენლებიდან ჯერ კიდევ ვერ თმობენ სტენდს სპორტის ოსტატები ვ. ჯაბახიძე და პ. სარქისოვი, ხოლო დ. ცაგარეიშვილმა მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატში უძლიერესის სახელიც კი მოიპოვა.

საქართველოში სასტენდო სპორტის განვითარების საუკეთესო პერიოდად უნდა ჩაითვალოს 1952 წელი, როცა საკავშირო პირველობაზე ომსკში გაგზავნილ რესპუბლიკურ ნაკრებში ძველ თაობასთან ერთად შეყვანილ იქნენ ახალგაზრდები, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს რესპუბლიკის სპორტული ღირსება, ხოლო ბ. ანტონოვი და ზ. მაჩხანელი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესოთაგანნი, შეყვანილ იქნენ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში.

საქართველოს სპორტსმენებმა არაერთხელ მოიპოვეს უძლიერესის სახელი საქალაქთაშორისო მატჩებში, მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებთან შეხვედრებში, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ მიღწევების მიუხედავად სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარების საქმეში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ უწყებები და სპორტსაზოგადოებები, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენთა სურვილებს, შეუქმნან ვარჯიშისათვის ხელსაყრელი პირობები, რის გამო ისინი იძულებული არიან თავშესაფარი ეძებონ სხვა საზოგადოებებში. მაგალითად, სპორტის ოსტატი ლ. სიმონიანი, რომელიც „ბურევესტნიკის“ წევრი იყო, „მონკავშირში“ გადავიდა. აღსანიშნავია, რომ თბილისში სასტენდო სროლის განვითარებისათვის მხოლოდ „მონკავშირი“ და სამხედრო მონადირეთა საზოგადოება ეწევიან ერთგვარ მუშაობას, მაგრამ ყველაფერი არც აქაა წესრიგში.

„მონკავშირის“ სასტენდო სროლის შემსწავლელ წრეში, რომელშიც უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ გაერთიანებულნი, [illegible] დენობით მომზადა თანრიგოსნები, მაგრამ მათი უმეტესობა დღემდე არაა გაერთიანებული არც ერთ სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებაში.

სასტენდო სროლის განვითარებას ხელს უშლის პირველხარისხოვანი ინვენტარის უქონლობა. განსაკუთრებით განიცდიან თოფების ნაკლებობას. მართალია, ამას წინათ საქართველოს „მონკავშირმა“ ტულის ქარხანას მისცა 6 თოფის შეკვეთა, მაგრამ მათ დამზადებას არაფერი ეშველა. არასახარბიელო მდგომარეობაა ტყვია-წამლით, საფანტით, ქეჩის საცობებითა და სხვა ინვენტარით რესპუბლიკის მომარაგების საკითხში.

თბილისის „მონკავშირის“ ბაზა საუკეთესოდ ითვლება რესპუბლიკაში, თუმცა მთლიანად ვერც ის აკმაყოფილებს სასტენდო სროლის მოყვარულთა გაზრდილ მოთხოვნებს. მართალია, დამთავრდა მესამე სასანგრო მოედნის მშენებლობა, მაგრამ სხვა მოედნების რეკონსტრუქცია არ მომხდარა. არასტანდარტულია და მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ქუთაისის, ბათუმისა და მახარაძის სტენდები.

სოხუმის სტენდზე დღემდე მხოლოდ ერთი სტანდარტული მოედნის მოწყობა შეძლეს. ამ ბაზის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკას ექნება საერთაშორისო კლასის სასროლეთი. რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარების ძირითად ხელის შემშლელს წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ სპორტსმენებთან არ ხდება სრულწლიური წვრთნა, არ ეწყობა საკლასიფიკაციო შეჯიბრებები ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენთა გამოსავლინებლად. არასათანადო ყურადღება ექცევა ქალებთან მუშაობას. მხოლოდ ე. მელიქიშვილია ერთადერთი მთელს რესპუბლიკაში, რომელიც რეგულარულად მეცადინეობს.

საჭიროა საქართველოს მესტენდურებმა და ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ღონისძიებანი გაატარონ სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

**ჯ. მოწონელიძე**

# მუშაობა გარდაიქმნა

ბათუმის სამრეწველო კომბინატის ფიზკულტურულ კოლექტივში საგრძნობლად ჩამორჩებოდა მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობა. კომკავშირელებმა ინიციატივა აიღეს გარდაექმნათ მუშაობა.

ნაყოფიერი საქმიანობა გაშალეს სექციებმა და მალე პირველი წარმატებებიც იქნა მოპოვებული. კომბინატის ფეხბურთელთა გუნდმა III ადგილი მოიპოვა ბათუმის პირველობაში. ნაყოფიერად ვარჯიშობენ აგრეთვე კალათბურთის, ფრენბურთისა და ჭიდაობის გუნდები, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა სპარტაკიადაზე.

**მ. ბედოშვილი**



თბილისის ცენტრალურ სადრაკო კლუბში საინტერესოდ მიმდინარეობს დედაქალაქის მოსწავლეთა პირველობის ნახევარფინალური ტურნირები.
სურათზე: ნორჩი მოჭადრაკეები ერთ-ერთი ტურის დროს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

# პირველი წარმატება

რაიონში ჩამორჩენილად ითვლებოდა მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი. ნიჩბისელები არ მონაწილეობდნენ ღონისძიებებში. ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ლომიძე თავის საქმიანობას მხოლოდ აკადემიური საათების ჩატარებით განსაზღვრავდა.

მას შემდეგ, რაც აქ ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობა დაიწყო გ. სარუაშვილმა, მუშაობა გარდაიქმნა. მოაწყეს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიელი, შეიქმნა სექციები, ჩატარდა შიდასასკოლო შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში. სკოლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა სარაიონო პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, სადაც მე-10 კლასელმა გ. ქიტუაშვილმა მოიპოვა პირველი ადგილი და რაიონულ ნაკრებში მონაწილეობის უფლება.

**გ. ყეინიშვილი**

# ეგვიპტის გარშემო



1954 წლიდან მოყოლებული ეგვიპტის ველოსპორტის ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს ველოტურს თავის ქვეყნის გარშემო. რბოლის დისტანცია უდრის 2.000 კილომეტრს და დაყოფილია 13 ეტაპად. ველოსიპედისტები სტარტს იღებენ ლიუქსორში, ხოლო შეჯიბრებას ამთავრებენ კაიროში.

ეგვიპტის პირველ ველოტურში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, ბელგიის, დანიის, რუმინეთის, ინგლისის, იტალიის, ეგვიპტის, სუდანისა და ლიბანის სპორტსმენებმა. მაშინ პირველი ადგილი დაიკავა ბელგიელმა ვან-მეენმა. შემდგომ წლებში ეგვიპტის ველოტურს დაემატნენ თურქეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ველოსიპედისტებიც. უცხოელი სპეციალისტები ამ შეჯიბრებას უწოდებენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს მშვიდობის ველორბოლისათვის მზადებაში.

სსრ კავშირის ველოსპორტის სექციამ მიიღო გადაწყვეტილება გაგზავნოს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი ეგვიპტის 1958 წლის ველოტურში მონაწილეობის მისაღებად. ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ ა. ჩერეპოვიჩი, გ. საიხუჯინი, ა. ოლიზარენკო, ა. პეტროვი, ი. მელეხოვი და სხვანი.

ახალგაზრდა ველოსიპედისტთა შესარჩევი შეჯიბრება შედგა სოხუმში. პირველი ეტაპი, სოხუმი-გალი-სოხუმი, რომლის დისტანცია 150 კილომეტრს უდრის, მოიგო ი. მელეხოვმა, რომელმაც ეტაპი გაიარა 4 საათსა და 1,55 წუთში. მას სულ ოდნავ ჩამორჩა ა. ვიარავასი. შემდეგ ჩატარდა ინდივიდუალური რბოლა 75 კილომეტრზე, სადაც გამარჯვება კვლავ მელეხოვმა მოიპოვა.

ეგვიპტის მორიგი ველოტური დაიწყება 12 იანვარს. მასში მოსალოდნელია ადგილობრივი ველოსიპედისტების გარდა გერმანიის, პოლონეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, ბელგიის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების გუნდების მონაწილეობა.

სურათზე: შესარჩევი შეჯიბრების ერთი მომენტი.

ფოტო ჯ. ანთიასი.

# 27 გუნდის მონაწილეობით

ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნებს მეტად გრძელი სპორტული სეზონი ჰქონდათ. თებერვლიდან დეკემბრამდე შეჯიბრებებში მონაწილეობა არც ისე უბრალო საქმეა. ეს საკითხი ჯერჯერობით პრობლემატურია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც. თუ ერთნი ხშირ შეჯიბრებებს თვლიან სპორტსმენისათვის დადებით მომენტად, მეორენი ამის წინააღმდეგი არიან.

ასეა თუ ისე, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჩაატარა ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე.

შეჯიბრებაზე გამოცხადდა ქალაქებისა და რაიონების მძლეოსანთაგან დაკომპლექტებული 27 გუნდი. შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები ორ ჯგუფად იყვნენ განაწილებული. I ჯგუფში შედიოდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, გორის მძლეოსნები. II ჯგუფში გაერთიანდნენ ყველა დანარჩენი რაიონები.

გუნდები ვალდებული იყვნენ გამოეყვანათ სამი ასაკობრივი ჯგუფი (15-16 წელი, 17-18 წელი და 19-23 წელი). შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ პირველი თანრიგის მქონე მძლეოსნები.

გუნდურ ჩათვლაში I ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის, ხოლო მეორეში სამტრედიის გუნდმა.

შეჯიბრების პროცესში დამყარებულ იქნა რესპუბლიკის სამი რეკორდი. 15-16 წლის ჭაბუკთათვის 60 მეტრზე რბენაში თბილისელმა ა. ბედუკაძემ აჩვენა 7,0 წამი, თბილისელმა დ. ჯულელმა (17-18 წლის ჭაბუკთა შორის) ურო ტყორცნა 48,56 მეტრზე და ნ. კალანდაძემ სპორტულ სიარულში 5 კილომეტრი დაფარა 22.19,4 წუთში. სულ შეჯიბრების პროცესში ნაჩვენები იქნა მოზარდთა თანრიგის 51 შედეგი, მესამე თანრიგისა და მეორე თანრიგის 55 შედეგი. მხოლოდ უროს ტყორცნაში შეძლო ვ. კოვალენკომ (მწვრთნელი ნ. დევდარიანი) მიახლოვებოდა პირველი თანრიგის ზღვარს (მისი შედეგია 53,91 მ).

იყო ისეთი სახეობები (თარჯრბენი 80 მეტრზე, ვაჟთა რბენა 400 მეტრზე, ხუთჭიდი, ჭოკით ხტომა), სადაც მონაწილე გუნდებმა ვერ უზრუნველყვეს ვერც ერთი სპორტსმენის გამოყვანა.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ მძლეოსნობა ჯერ კიდევ არ სარგებლობს სათანადო პოპულარობით ჩვენს რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით რესპუბლიკაში დაახლოებით 80 ათასამდე მძლეოსანია. ეს რიცხვი, რა თქმა უნდა, გაზრდილი და არარეალურია.

ბევრმა კოლექტივმა ვერ შეძლო საუკეთესო სპორტსმენებით დაეკომპლექტებინა თავისი გუნდი, რადგან შეჯიბრებისათვის შერჩეულმა დრომ, ობიექტიური მიზეზების გამო (ჩათვლები და გამოცდები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში) ზოგიერთს არ მისცა საშუალება მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებაში.

უნდა ითქვას ისიც, რომ გუნდების მიღებას შეჯიბრების დღეს და იმავე დღეს მათს მონაწილეობას შეჯიბრებაში ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

შეჯიბრების დებულებამ სრულებით არ გაუწია ანგარიში სპორტსმენებს მათი დატვირთვის საკითხში. აგე მაგალითად, 17-18 წლის ჭაბუკთათვის ერთიდაიგივე დღეს ჩატარდა რბენა 1500 მეტრზე და კროსი 1000 მეტრზე, რაც პრაქტიკაში მიღებული არ არის. 15-16 წლის ჭაბუკებს და გოგონებს უხდებოდათ შეჯიბრების ერთ დღეს 3-4 სახეობაში გამოსვლა, რაც აგრეთვე ყოვლად მიუღებელია. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ სახეობათა რაოდენობა არ შეეფარდებოდა მისთვის განკუთვნილ დღეთა რაოდენობას.

ჩვენის აზრით, ძალიან დიდი შეჯიბრების ჩატარების პროცესში რესპუბლიკური სექციის როლი მეტად დიდია და საზოგადოებრიობის აზრი ზიანს არ მოუტანდა ფიზკულტურის კომიტეტებში დასამუშავებელ მასალებს და დებულებებს. პირიქით, შეიძლებოდა იმ ხარვეზების აცილება, რომლებმაც თავი იჩინეს ამ შეჯიბრების ორგანიზაციასა და ჩატარებაში.

**გ. გურგენიძე**

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

გულთბილი შეხვედრა მოუწყეს აბაშის რაიონის ფიზკულტურელმა ახალგაზრდებმა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებს, რომლებიც ორ დღეს სტუმრობდნენ აბაშაში. სტუმარ-მასპინძლებს შორის გაიმართა ამხანაგური შეჯიბრებები ჭიდაობაში, კალათბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში.

**ი. თოფურია**

* * *

თბილისის ქარხანა „პლასტმასში“ ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 20 სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა საიარაღო-საამქროს გუნდმა. პირად პირველობაში ჩემპიონატი დაუმარცხებლად ჩაატარა მ. ვარდანიანმა.

**გ. ხიდეშელი**

* * *

პირველი ქართული ელექტრომავლის გამოშვებას მიეძღვნა თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის სპორტსმენთა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა სამჭედლო საამქროს ოსტატი პირველთანრიგოსანი ე. ბეგლიაროვი. ქალთა შორის გაიმარჯვა ლ. გომარელმა.

**გ. ფამილიანტი**

* * *

სტალინირში დამთავრდა ქალაქის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება საოლქო გაზეთ „სოვეთონ ირისტონის“ თასის მოსაპოვებლად. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სატყეო კომბინატისა და პედინსტიტუტის გუნდები. ანგარიშით 4:2 შეხვედრა მოიგეს მუშა სპორტსმენებმა.

**ა. კრიხელი**

* * *

თელავის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ რედაქციამ რაიონში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით დააარსა გარდამავალი თასი, რომელიც მესამე წელია რაც თამაშდება.

თასის 1957 წლის გათამაშებაში მონაწილეობდა ათი გუნდი. თვითეულ გუნდში ორი მოჭადრაკე იყო.

საინტერესო შეხვედრების შემდეგ I-II ადგილები დაიკავეს თელავის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორისა და თელავის I საშუალო სკოლის გუნდებმა. დამატებით შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდათ კავშირგაბმულობის მუშაკებს (ა. გურასპიშვილი და პ. მჭედლიძე).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ნორჩი მოჭადრაკე 12 წლის თ. ხუგაშვილი, რომელმაც წარმატებით ითამაშა.

**ზ. ჩიკვაიძე**

* * *

ამას წინათ გორის პედინსტიტუტის ფრენბურთელებს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად სტუმრად ეწვივნენ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები. გავიდა ხანი და საპასუხო ვიზიტით თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრები გორიდან.

შეხვედრა გაიმართა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში. პირველ პარტიას იგებენ მასპინძლები — 15:12, ხოლო მეორე პარტია მთავრდება გორელების გამარჯვებით — 18:16. მოწინააღმდეგეებმა შემდეგში შეძლეს კიდევ თითო პარტიის მოგება. გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში წინ იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდი. რომელმაც მოიპოვა საპატიო გამარჯვება. ერთი დღის შემდეგ შედგა გუნდების განმეორებითი შეხვედრა. აქაც გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ მეხუთე პარტიაში. მატჩი მოიგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. ვაჟთა გუნდების ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით—3:0, მოიგეს მასპინძლებმა.

**ლ. თუშიშვილი**

# მათი პირველი სპარტაკიადა

თბილისის სპორტულ ბაზებზე წელს პირველად გაიმართა საპროექტო ორგანიზაციების სპარტაკიადა, რომელშიც გამარჯვებისათვის იბრძოდა ათი კოლექტივი. შეჯიბრების პროგრამაში იყო ფეხბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და სროლა.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის საპროექტო ორგანიზაციების ფიზკულტურელთა შორის. ფეხბურთელთა ფინალურ მატჩში „საქსახინწყალპროექტის“ გუნდმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა „საქგიპროშახტის“ გუნდი და მოიპოვა პირველი ადგილი. ფრენბურთელთა ფინალური შეხვედრა გაიმართა „საქსოფლმშენისა“ და „დორპროექტის“ გუნდებს შორის, „საქსოფლმშენის“ ფრენბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი, მოიპოვეს გამარჯვება და პირველი სპარტაკიადის ჩემპიონობა. „საქგიპროშახტის“ ჩოგბურთელებმა ყველა შეხვედრა დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ და მოიპოვეს უძლიერესის სახელი. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში გამარჯვებული გამოვიდნენ „საქსახინწყალპროექტის“ სპორტსმენები. სამაგიეროდ, ისინი ფინალში დამარცხდნენ (1,5:3,5) „დორპროექტის“ მოჭადრაკეებთან და მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

პირველ საქალაქო სპარტაკიადაზე მომზადებული გუნდები გამოიყვანეს „საქსახინწყალპროექტის“, „საქსოფლმშენისა“ და „საქგიპროშახტის“ ძირეულმა კოლექტივებმა, რომლებმაც შესაბამისად მოიპოვეს I, II და III საერთო გუნდური ადგილები.

**ზ. ქვათაძე**

# ფალავანი

შეჯიბრების მეორე დღიდან ნათელი გახდა, რომ ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის ფალავნობის პრეტენდენტები იყვნენ გ. ჩიკვილაძე, დ. ბერუაშვილი, ზ. მუხიაშვილი და ა. კიკნაძე. მაგრამ შემდგომში ჩიკვილაძე ავად გახდა, ხოლო კიკნაძემ ტრავმა მიიღო. ამის გამო პირველობის ძირითად პრეტენდენტებად დარჩნენ ბერუაშვილი და მუხიაშვილი. როგორც ქვეჯგუფში, ისე ფინალში თვითეულ მათგანს 7 შეხვედრა ჰქონდა და ამ შეხვედრათა შედეგებიც თანაბარი იყო: 4 სუფთა მოგება, 3 კი — ქულებით.

ფინალურ ჯგუფში გადასვლისას ბერუაშვილს ორი სუფთა გამარჯვება არ გადაჰყვა, ვინაიდან ვისთანაც მან ეს სუფთა გამარჯვებები მიიღო, ისინი ფინალში ვერ გავიდნენ, ხოლო მუხიაშვილს ერთი სუფთა გამარჯვება შერჩა. მიუხედავად იმისა, რომ მუხიაშვილი ქულებით დამარცხებული იყო ბერუაშვილთან, შემდგომ შეხვედრებში სუფთა გამარჯვებები მოიპოვა, რომელთა რიცხვი 4-მდე გაიზარდა, ბერუაშვილს კი ფინალში მხოლოდ ორი სუფთა გამარჯვება ჰქონდა და შეჯიბრების ბედიც ამან გადაწყვიტა — პირველი ადგილი და საქართველოს 1957 წლის ფალავნის სახელი ზ. მუხიაშვილს ერგო, ხოლო ბერუაშვილი (გორი) მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. მესამე ადგილი წილად ხვდა გ. სულაშვილს (თბილისი).

საყურადღებო და ჭკუის სასწავლია მაღალი კლასის მოჭიდავის — დ. ბერუაშვილის წარუმატებლობის მიზეზი. ის ალალი, აქტიური, ფანდებსდაუფლებული მოჭიდავეა. მან სპეციალური ჯილდოც მიიღო ამისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც დ. ბერუაშვილმა თავისუფალ ჭიდაობაშიც დაიწყო გამოსვლა, რატომღაც იერიში შეასუსტა და უფრო ხშირად მოწინააღმდეგის ფანდს უცდის საწინააღმდეგო ილეთის ჩასატარებლად. ეს კი გარკვეულად ანელებს მის აქტიურობას, აგრესიულობას, რაც ცხადია, მოქმედებს სუფთა გამარჯვებებზე.

ამ გარემოებას ყოველთვის უნდა ითვალისწინებდნენ ქართული მოჭიდავენი, როცა საასპარეზოდ გამოდიან.

ფიზკულტურის ზოგიერთი ორგანიზაციის დაუდევრობამ ამ შეჯიბრებაშიც იჩინა თავი. წითელწყაროს, ახმეტის, წულუკიძისა და თბილისის კომიტეტებს უთუოდ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ძლიერი მოჭიდავენი: ა. ვარდოშვილი, ა. ზურაბაული, ა. ჯავახიშვილი, ი. კაჭაროზაშვილი, ვ. რეხვიაშვილი და სხვები არ დაეტოვებინათ შეჯიბრების გარეშე.

**მ. ხერხეულიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმაღლის დამპყრობნი



## ალბრიტონი თუ ვზოროვი?

რამდენიმე წლის წინათ ვინმეს რომ ეწინასწარმეტყველა 1957 წელს საბჭოთა მძლეოსნები სიმაღლეზე ხტომაში „ტახტიდან ჩამოაგდებდნენ“ თავიანთ ამერიკელ კოლეგებს, ასეთ ადამიანს დასცინებდნენ. და მართლაც, თვით აზრი, რომ მძლეოსნობის ამ სახეობაში ვინმე გაასწრებდა ამერიკელებს, იმ დროს არა მარტო თავხედობა, არამედ უბრალოდ, სისულელე იყო. ამერიკის შეერთებული შტატების მხტომელები ხომ 1895 წლიდან მოყოლებული მსოფლიო რეკორდის უცვლელი მფლობელები იყვნენ.

ამერიკელ მხტომელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჯორჯ ჰორაინი, რომელმაც ხტომის ახალი მეთოდი გამოიგონა, რომელიც „ჰორაინად“ იქნა წოდებული. მან მსოფლიოში პირველმა დაძლია 2 მეტრი სიმაღლე. 24 წლის შემდეგ დევიდ ალბრიტონმა მძლეოსნობის მოყვარულები გააოცა ხტომის მანამდე უცნობი მეთოდით, რომელმაც შემდეგ „გადავლების“ სახელწოდება მიიღო.

„გადავლების“ მეთოდით ხტომის გამომგონებლად ამერიკელებს თვლიან, მაგრამ ოციან წლებში ამ მეთოდით ხტებოდა ჩვენი სპორტსმენი ბორის ვზოროვიც — ამჟამად გამოჩენილი მწვრთნელი და მეცნიერ-მუშაკი სპორტის დარგში. მიუხედავად იმისა, რომ ვზოროვი ხტებოდა 175 სანტიმეტრზე (ეს იმ დროისათვის ძალზე მაღალი შედეგი იყო), მის სტილს დასცინოდნენ. ვზოროვსა და მის მიმბაძველებს შეჯიბრებებზე უსტვენდნენ, „უცხენო მხედრებს“ უწოდებდნენ, ხოლო თვით ხტომის სტილი დაცინვით მონათლეს „ტამბოვურ ჰორაინად“ (ვზოროვი მაშინ ტამბოვში ცხოვრობდა).

ამ ხმაურის გამოძახილი ოკეანის იქითაც გაიგეს და ოცდაათიან წლებში ამერიკულმა სპორტულმა ჟურნალმა წერილიც კი გამოგზავნა თხოვნით აეხსნათ მათთვის ვზოროვის ხტომის თავისებურებანი. ვზოროვის გამოცდილებით ისარგებლეს თუ, დამოუკიდებლად გამოიგონეს „გადავლების“ მეთოდი ამერიკელებმა— ამისი თქმა ძნელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ხტომის ამ მეთოდმა მათ ერთგული სამსახური გაუწია, ხოლო ჩვენთან იგი განსაზღვრულ დრომდე დავიწყებული იყო.

## იდი მოვიდა

ერთხელ, 1951 წლის შემოდგომის დღეს ლენინგრადის „ტრუდის“ სპორტულ სკოლაში მწვრთნელ ვ. გოიხმანთან გამოცხადდა მაღალი, გამხდარი, კუშტი სახის ჭაბუკი. მან ჯგუფში ჩაწერა ითხოვა. ეს იყო ელექტრომექანიკური ტექნიკუმის მოსწავლე იური სტეპანოვი.

მწვრთნელს სტეპანოვში არ აღმოუჩენია რაიმე განსაკუთრებული ბუნებრივი მონაცემები. დასაწყისში არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ხტომის გადავლებითი მეთოდი სტეპანოვს სარეკორდო სიმაღლემდე აიყვანდა. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ იგრძნო მწვრთნელმა თუ რა ძვირფასი სპორტული ტალანტია ეს თავშეკავებული, ოდნავ გულჩათხრობილი ჭაბუკი.

გადიოდა წლები. სტეპანოვმა დაამთავრა ტექნიკუმი, მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, შევიდა ინსტიტუტში. ამ ხნის განმავლობაში იგი არ წყვეტდა მეცადინეობას თავის პირველ და ერთადერთ მწვრთნელთან, ვაჟკაცდებოდა სტეპანოვი, ვაჟკაცდებოდა მისი ოსტატობაც.

## დიაკოველი ტალანტი

1949 წელი. მოქმედების ადგილი — ქალაქ დიაკოვის პატარა სახლის ბაღი. მთავარი და ერთადერთი მოქმედი პირია წარმოსადეგი, მხარბეჭიანი ჭაბუკი. მას ბაღის სიღრმეში ორ ნეკერჩხალს შორის გაუჭიმავს თოკი, მასზე ხტება. ეს იგორ კაშკაროვია.

თოკი თანდათან მაღლა იწევს და ბოლოს 145 სანტიმეტრს აღწევს. თვითნასწავლისათვის, რომელსაც მხოლოდ გადმოცემით ჰქონდა გაგებული სიმაღლეზე ხტომის შესახებ, ეს ცუდი შედეგი როდი იყო. იგი გაგზავნეს საოლქო სასკოლო შეჯიბრებაზე, სადაც გაიმარჯვა საუკეთესო შედეგით — 160 სანტიმეტრი.

კაშკაროვმა დახმარებისათვის მიმართა ე. როხლინს — „ტალღის“ მეთოდის დიდ მცოდნეს, რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი იყო. ცოტა ხნის შემდეგ კაშკაროვი გადახტა 193 სანტიმეტრზე. ეს უკვე მეცხრე ტალღა იყო. ამაზე მაღლა ამ მეთოდს, ალბათ, აღარ შეეძლო აეყვანა სპორტსმენი.

მაშინ იგორ კაშკაროვმა ყურადღება მიაქცია გადავლებითი ხტომის მეთოდს, საკმაოდ სწრაფად აითვისა იგი და შედეგიც მალე გამოჩნდა: თამასამ კიდევ 2 სანტიმეტრით აიწია.

## რუბიკონი გადალახულია

ალბათ არ არსებობს მძლეოსნობის სახეობა, სადაც ფსიქოლოგიური ფაქტორი ისეთ დიდ როლს თამაშობდეს, როგორც სიმაღლეზე ხტომის დროს. ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი — თამასაზე გადასვლა — წამის მცირე მონაკვეთში ხდება და სპორტსმენმა ამ დროს უზუსტეს ფოკუსში უნდა მოახდინოს ყველაფრის კონცენტრაცია, რაც კი შეუძლია.

სიმაღლეზე მხტომელის წინაშე ძალზე მკაცრი პირობებია. იგი იბრძვის არა მარტო მოწინააღმდეგესთან, არა მარტო დედამიწის მიზიდულობის ძალასთან. მხტომელს მესამე მოწინააღმდეგეც ჰყავს, ეს მოწინააღმდეგე თამასაა.

ორმეტრიანი სიმაღლე—საერთაშორისო კლასის ეტალონი—ის ციხესიმაგრე იყო, რომლის კედლებთან ათეული წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ ჩვენი მხტომელები. 1953 წელს 24-მა უცხოელმა სპორტსმენმა (მათ შორის 17-მა ამერიკელმა) გადალახა ორმეტრიანი სიმაღლე, ჩვენთან კი მდგომარეობა ძველებურად უცვლელი იყო.

1955 წლის ზაფხულში ციხე-სიმაგრე დაეცა! გაიმარჯვა უკრაინელმა ახალგაზრდა სპორტსმენმა ვლადიმერ სიტკინმა. არაჩვეულებრივი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულმა მხტომელმა. მალე სტეპანოვმა რეკორდი ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა.

ეს იყო კოლოსალური გამარჯვება. სტეპანოვისა და სიტკინის ტრიუმფმა ფრთები შეასხა ბევრს. მალე გამარჯვებულებმა თავიანთ ჯგუფში მიიღეს კაშკაროვიც, ხოლო შემდეგ, იმავე წელს 2 მეტრი სიმაღლე დაძლია კიდევ სამმა სპორტსმენმა.

## „აფეთქება“

XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიო რეკორდსმენმა ჩარლზ დიუმასმა, რომელიც 212 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადახტა.

ვინ იცის, პირველი ადგილის ბედი სხვანაირად წარმართულიყო, მონაწილეთა შორის რომ სტეპანოვი ყოფილიყო. მაგრამ იგი მელბურნში არ წასულა ფეხის ტრავმის გამო, რომელიც მან მოსკოვში მიიღო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დროს.

სტეპანოვი მოწყენილი დაბრუნდა ლენინგრადში, მაგრამ მის წარუმატებლობაში შეიძლება შემდგომი ტრიუმფის მარცვალი იყო ჩასახული. თუ ჩავთვლით, რომ სიმაღლეზე ხტომა სპორტსმენის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალის თავისებური „აფეთქებაა“, მაშინ საჭიროა ამ ფეთქი ენერგიის მომჭირნეობა, მუხტის დაგროვება.

... ეს მოხდა მიმდინარე წლის 13 ივლისს ლენინგრადისა და ჰელსინკის მძლეოსანთა მეგობრულ მატჩზე. 204 სანტიმეტრის შემდეგ სტეპანოვმა თამასა ერთბაშად 211 სანტიმეტრზე — სსრ კავშირის რეკორდზე მაღლა ააწევინა! ეს ციფრი გამოკიდულ იქნა ფარზე, ტრიბუნებმა ღრმად ამოიოხრეს. ერთი ჯგუფის (ძალზე მცირე) ამოოხვრა გამოხატავდა მხტომელის სითამამით გამოწვეულ აღფრთოვანებას, ხოლო მეორისა (ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ) თითქოს ამბობდა „რა საჭიროა ასეთი სიფიცხე? ხომ სულ ერთია, ვერ გადალახავს!“...

სტეპანოვი გამოქანდა, გადახტა და... თამასა ჩამოვარდა. იგი გვერდზე გავიდა, ჩაფიქრდა. რაშია საქმე? ხომ ყველაფერი მზად იყო ამ წუთისათვის და იგი თავს ისე კარგად გრძნობდა, როგორც არასოდეს.

სტეპანოვი ხელმეორედ ხტება. ვერც კი მოასწრო მან წამოხტომა და მასთან უკვე მირბოდნენ კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები.

სტეპანოვმა განუცხადა მსაჯებს, რომ თამასა 216 სანტიმეტრზე — მსოფლიო რეკორდზე მაღლა — დაეყენებინათ და დაუპატიჟებელ სტუმრებს სტადიონის მეორე მხარეს გაექცა.

როცა ხმაური მიწყნარდა, იგი დაბრუნდა და ბალახზე წამოწვა. შემდეგ ადგა, ხაზგასმული სიდინჯით გაიხადა კოსტიუმი, რამდენიმე მოძრაობა გააკეთა ხელებით, გამოიქცა, ახტა და რაღაც დაუჯერებელი უბრალოებითა და სიმსუბუქით გადაევლო თამასას. მაყურებლებმა უეცრად ვერც შეიგნეს რა მოხდა. სტეპანოვი უკვე ადგა და გასწია სკამისაკენ, სადაც ტანსაცმელი ეწყო, თან მოჯადოებულ თვალებს არ აშორებდა უძრავ თამასას.

## მაგრამ იჯერებენ ძნელად...

მაგრამ ძნელია მრავალი წლის ჩვეულებათა გადაჩვევა. ძნელია შეურიგდე 62 წლის „სტაჟის“ დაკარგვას. სტეპანოვის სარეკორდო აფრენა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ უარი თქვეს მის დაჯერებაზე. უცხოეთის პრესაში გაჩნდა მრავალი აზრი, რომლითაც სტეპანოვის განსაცვიფრებელი მიღწევა მიაწერეს ხტომის ტანვარჯიშულ ხასიათს და მისი ფეხსაცმლის ლანჩას.

საჭირო იყო დამტკიცება. თავისი სიმართლის მტკიცება ძალზე უბრალო და ძალზე ძნელი იყო: სტეპანოვისათვის აუცილებელი გახდა კიდევ რამდენჯერმე გადაელახა ექსტრაკლასის სიმაღლე — 210 სანტიმეტრი. და სტეპანოვმა დაამყარა კიდევ ერთი, თუმცა არაოფიციალური რეკორდი — ერთი ზაფხულის განმავლობაში სამ შეჯიბრებაში ზედიზედ აიღო 210 სანტიმეტრზე მეტი სიმაღლე.

მაგრამ იგივე განახორციელა ხომ იგორ კაშკაროვმაც. დაიწყო ერთგვარი დუელი ამ ორ სპორტსმენს შორის, რომელსაც თვალყურს ადევნებდა მთელი სპორტული სამყარო. მესამე მეგობრულ თამაშებზე მოსკოვში ორივე შესანიშნავმა მხტომელმა გადალახა ერთნაირი სიმაღლე — 213 სანტიმეტრი, მეტი ვიდრე დიუმასმა უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე. მალე კაშკაროვი კიდევ ერთი სანტიმეტრით მაღლა გადაცოცდა. ამის შემდეგ სკეპტიკოსებს შეეძლოთ თვალნათლივ დარწმუნებულიყვნენ „განუყრელი რუსი მეგობრების“ განსაცვიფრებელ ოსტატობაში: ლონდონში გამართულ მატჩზე სტეპანოვმა და კაშკაროვმა, ორივემ 211,4 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლიეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ პარიზში უნივერსიტეტების თამაშებზე, სტეპანოვმა თამასა გადალახა 212 სანტიმეტრის სიმაღლეზე.

სექტემბრის მიწურულში დუეტი ტრიოდ იქცა. სიტკინმა უკრაინის პირველობაზე 215 სანტიმეტრი სიმაღლე აიღო.

ჩაიშალა ცდა გამოერკვიათ რას წარმოადგენდა სტეპანოვის ლანჩა. ცხარე დისკუსიის შემდეგ გამოირკვა, რომ მრავალი ქვეყნის მხტომელები, მათ შორის თვით ამერიკელებიც, დიდი ხანია უკვე სარგებლობენ სქელი ლანჩით, რომელიც მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ უფრო მჭიდროდ დაიდგას ფეხი აკვრის წინ...

... როცა ადამიანი ადის მწვერვალზე, რომელიც მიდამოს თავს გადაჰყურებს, მას ჰგონია, რომ იგი უკვე ცას არის მიბჯენილი და აღარ არის მასზე მაღლა მწვერვალი. მაგრამ აი, იგი აღწევს მიზანს, კმაყოფილებით მიმოიხედავს ირგვლივ და უეცრად ხედავს უფრო მაღალ მწვერვალს. და კვლავ იფეთქებს ამ მწვერვალის დაპყრობის სურვილი.

ცოტა ხნის წინათ ჩვენი მხტომელები ოცნებობდნენ მხოლოდ იმაზე, რომ დაეძლიათ სიმაღლე „200“, მაგრამ აი დაპყრობილია ეს პიკიც და სხვებიც, უფრო დიდებული მწვერვალები და მოწინავე რაზმი უკვე დგას სიმაღლე „218“ მისადგომებთან. ისინი იწყებენ მწვერვალზე ასვლას: პირველი მიდის სტეპანოვი, მას მიჰყვებიან სიტკინი, კაშკაროვი, კიდევ თერთმეტი „ორმეტრიანი გოლიათი“. იქ კი უფრო ქვევით, ასობით სხვა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვაჟკაცი ოცნებობს თავისი ძალების გამოცდას მძიმე ბრძოლებში. გზა მშვიდობისა, მეგობრებო!

**ვ. ვასილიევი.**
„ოგონიოკი“.

* * *

**ჩვენი სურათი ამოღებულია ერთ-ერთ უცხოურ სპორტულ ჟურნალიდან. მასზე აღბეჭდილია ოლიმპიური ჩემპიონი ჩარლზ დიუმასი (აშშ) სიმაღლეზე ხტომის დროს. ისარი მიუთითებს დიუმასის სახტომ ფეხსაცმელზე, რომელსაც ისეთივე სქელი ლანჩა აქვს, როგორც სტეპანოვს.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მელბურნი.** „კუიონგის“ კლუბის კორტებზე შედგა დევისის თასის ფინალური მატჩები ჩოგბურთში. თამაშობდნენ ავსტრალიისა და ამერიკის გუნდები. ავსტრალიელებმა უკვე პირველი სამი შეხვედრის შემდეგ გაინაღდეს გამარჯვება და კვლავ დაიტოვეს თასი.

**მაგდებურგი.** აუარებელი მაყურებელი ესწრებოდა საერთაშორისო შეხვედრას ცურვაში. გაცურვაში 100 მ თავისუფალი სტილით მონაწილეობა მიიღო ც ნ ო ბ ი ლ მ ა ფრანგმა მოცურავემ ჟან ბუატომ. იგი კარგა ხანს ლიდერობდა, მაგრამ ფინიშთან წინ გაუშვა გერმანელი გრეგორი, რომლის დროა 58,6 წამი.

**პარიზი.** მძლეოსანთა ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომელსაც ეწოდება კროს-კაუნტრი გამარჯვება მოიპოვა ბულგარელმა სოლოვიოვმა. მან ძლიერად დაჭრილ ადგილმდებარეობაზე 7 კმ პირდაპირი გზით გაირბინა 28 წუთსა და 23 წამში.

**ლუქსემბურგი.** აქ ჩატარდა შეჯიბრება ველოკროსში, სადაც ჩარლი გოლმა აჩვენა კარგი შედეგი 17 კმ 500 მ დისტანციაზე. მისი დროა 42 წუთი 55 წამი.

**ჰელსინკი.** ცნობილმა ფინელმა მოთხილამურემ, მსოფლიო ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ივარინენმა ერთ-ერთი წვრთნის დროს მიიღო სერიოზული ტრავმა, ექსპერტების აზრით ივარინენი დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან.

## „ეშმაკის ნახტომი“

ნავსადგურ აკაპულკოსადმი (მექსიკა) დიდ ინტერესს იჩენენ „ტურისტები“, რომლებიც თავიანთი ხავსმოდებული სისხლისა და ნერვების გამოსაცოცხლებლად უჩვეულო სანახაობებს მართავენ. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს „ეშმაკის ნახტომი“. მექსიკელ მეთევზეთა და მეზღვაურთა შვილები გროშის ფასად თავგანწირულ რისკზე მიდიან — 30-მეტრიან დაკბილულ კლდიდან კუნთებისა და ნერვების არაადამიანური დაძაბვით მართლაც ეშმაკის ნახტომს აკეთებენ ქარაფებზე მოხეთქილ აბობოქრებულ ზღვაში. ისინი ლუკმაპურისათვის თავიანთ სიცოცხლეს ყოველდღე ჩალის ფასად ჰყიდიან.

## გაძარცვეს საბჭოთა მსაჯი

უემბლის სტადიონზე ინგლის-საფრანგეთის ფეხბურთელთა მატჩის დროს გაქურდეს გასახდელი ოთახი. საბჭოთა მსაჯს ლატიშევს დაეკარგა 10 გირვანქა სტერლინგი და მოსკოვში დასაბრუნებელი თვითმფრინავის ბილეთი.

— უღირსობაა! — განაცხადეს ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა და მხოლოდ ბილეთის უზრუნველყოფით დაკმაყოფილდნენ, რითაც ლატიშევს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა.

რედაქტორის მაგიერ
**ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3 38-25.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 00207